პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთისთვის მწერალი, დრამატურგი ნუგზარ შატაიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მწერალი, დრამატურგი ნუგზარ შატაიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X-484,989.660
Y-4,614,751.508
X-485,129.890
Y-4,614,636.679
ნუგზარ შატაიძის ქ.
X-485,261.652
Y-4,614,424.483

02/571

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი
23.03.16 წ.

№5658
23.03.16 წ.

თბილისი

21.03.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი!

მოგმართავთ თბილისის ქუჩისთვის ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და ესეისტის ნუგზარ შატაიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

ნუგზარ შატაიძე (09.03.1944_10.02.2009) თბილისში დაიბადა, დაამთავრა თბილისის 62-ე სკოლა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მისი პირველი მოთხრობა - "თეთრი ყვავილები" ჟურნალ "ცისკარში" 1968 წელს დაიბეჭდა, ხოლო მოთხრობების პირველი კრებული 1979 წელს გამოიცა. ავტორია მოთხრობების, ნოველების და პიესების 15 კრებულისა. სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია, ლიტერატურული პრემია „საბა," საქართველოს მწერალთა კავშირის, „ილიას ფონდის" პრემიები, არის ღირსების ორდენის ლაურეატი. მისი საუკეთესო მოთხრობები გამოცემულია სერიით _ „ქართული პროზის საგანძური."

ნუგზარ შატაიძის სცენარის მიხედვით შექმნილია არაერთი ფილმი, მათ შორის _ „გაღმა ნაპირი" და „სიმინდის კუნძული." ამ ფილმებმა 30-მდე პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალზე სხავდასხვა პრიზი დაიმსახურეს, გონფრეევილის (საფრანგეთი) კინოფესტივალის ჟიურიმ კი საუკეთესო სცენარისათვის დაწესებული პრიზი ნუგზარ შატაიძეს მიაკუთვნა.

ნუგზარ შატაიძე იყო ქართული სიტყვის ნამდვილი დიდოსტატი, უნიჭიერესი პროზაიკოსი, უბადლო მთხრობელი და დრამატურგი, შინაგანი პატიოსნებითა და იშვიათი მოქალაქეობრივი ღირსებით შემკული ადამიანი.

გთხოვთ გამოიყენოთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და შესაბამისი კომისისს წინაშე დააყენოთ საკითხი თბილისის ერთერთ ქუჩისთვის ნუგზარ შატაიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

პატივიცემით,

5658
23 მარტი 2016



ნუგზარ შატაიძე

(1944-2009)

მწერალი, დრამატურგი, ესეისტი

დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა. სწავლობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ფიზიკის ფაკულტეტზე. სპეციალობით თბოენერგეტიკოსი იყო. მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალში ტურბინის მემანქანედ, საქართველოს ენერგოსისტემაში - ინჟინრად, გაზეთ „ლელო“-ს რედაქციის განყოფილების უფროსად, გამომცემლობა „მერანი“-ს პროზის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „ომეგა“-ს რედაქციის განყოფილების უფროსად.

დაინტერესება ქართული მწერლობით ადრეულ ასაკში გამოავლინა. გაიტაცა რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილისა და სხვათა შემოქმედებამ, უფრო გაუძლიერა და გაუღვივა ინტერესი და სიყვარული მწერლობისადმი. მისი პირველი მოთხრობა “თეთრი ყვავილები” დაიბეჭდა 1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“.

1979 წელს გამოსცა პირველი კრებული „მოთხრობები“. არის მრავალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, ასევე ტელესერიალ „ცხელი ძაღლის“ სცენარის თანაავტორი კოტე ჯანდიერთან ერთად. გადაღებულია ფილმებში:“ შუშის ნამსხვრევი“ , „პეიტარი“ , „ხარება და გოგია“.

მიღებული აქვს ჯილდოები: მწერალთა კავშირის პრემია, სახელმწიფო პრემია, ღირსების ორდენი „ილიას ფონდის“ პრემია, პრიზი საუკეთესო სცენარისათვის ''გაღმა ნაპირი'' გონფრევილის საერთაშორისო კინოფესტივალზე (საფრანგეთი). ლიტერატურული პრემია ''საბა'' ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ წიგნისათვის “ნოემბრის წვიმა”.